რემედასი

№ 8

ტფილისის პროლეტარიატმა ბრწყინვალედ ჩაატარა საერთაშორისო ომის საპროტესტო დღე — პირველი აგვისტო. სურათზე სახმედვაჭ-რობის მიერ გამოშვებული ავტომობილი.

БРОМ

რემედასის

1 9 2 9

საქ. ცენტრალური და ტფ. კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

აგვისტო

ტფილისი

კაპიტალისტურ ქვეყნებში

პოლონეთი

პატიმრებს სცემენ ლუკოცის საპატიმროში.

მაისის ბოლო რიცხვებში, ლუკოცის საპატიმროში მამაკცთა და დედაკაცთა კორპუსებში გათამაშებული იქნა სისხლიანი კომედია, რომელიც შედეგად მოჰყვა საპატიმროს ახალ გამგის სურმიცკის პროვოკაციულ საქციელს.

პირველი მაისი ლონდონში. სურათზე: ქალთა მეომარი გუნდი დემონსტრაციაზე.

სურმიცკიმ პოლიტ-პატიმრებს აუკრძალა გაზეთების კითხვა, წერილების მიღება და წიგნებით სარგებლობა და საკნებში დაანაწილა სათითაოდ სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ერთად.

სურმიცკის ბრძანებით სრულიად დაჭედეს პატიმრებით სავსე 18 ოთახის ფანჯრები. პოლიტიკურებმა ამის შესახებ განაცხადეს სასტიკი პროტესტი, მაგრამ ადმინისტრაციამ სასწრაფოდ გამოიწვია ზედამხედველები და პატიმრების საკნებში შეუშვეს წყალი სახანძრე მილებით. ამის შემდეგ სურმიცკის მეთაურობით საპატიმროს ზედამხედველები შევარდენ საკნებში და რაც შეეძლოთ სცემეს პატიმრები. დღეს რამდენიმე მძიმედ დაჭრილი პატიმარი მოთავსებულია საავადმყოფოში.

„71“ პროცესი.

ამ დღეებში გროდნის საოლქო სასამართლოში მოსმენილ იქნა „71“ ბელორუსელი მუშების საქმე, რომლებსაც ბრალდებათ წაყენებული აქვს დასავლეთ-ბელორუსეთის კომპარტიის წევრობა. სასამართლომ მათ საერთო ჯამით მიუსაჯა 260 წ. კატ., — ე. ი. თითოულს 1—15 წ.

დემონსტრაცია სასამართლოში.

მიმდინარე წლის ივნისის ბოლო რიცხვებში ლობჟის სასამართლომ 5 კომკავშირელს 4-4 წ. კატორღაში მუშაობა მიუსაჯა. განაჩენის მოსმენის შემდეგ ბრალდებულებმა ასტეხეს ყვირილი: „ძირს ფაშისტური სამსჯავრო! ძირს თეთერი ტეროორი!“ და ამის შემდეგ დასჭექეს „ინტერნაციონალი“. სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებით ისინი სასწრაფოდ გაიყვანეს დარბაზიდან და სათითაოდ გადაგზავნეს საპატიმროში.

სამხრეთ-სლავია

პოლიტ-პატიმართა მკვლელობანი.

სამხრეთ-სლავიაში ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა პოლიტ-პატიმართა მკვლელობანი. ბულგარეთის საზღვარზე პოლიციელებმა მოჰკლეს სამი მუშა, რომელთა სახელი და გვარი ჯერ-ჯეროობით გამოურკვეველია. მაისის 9 იმავე ადგილას — სოფელ ბაჩევოს მახლობლად ოხრანკელებმა მოჰკლეს ვილაც უცნობი პირი. ზაგრებას პოლიციის სამმართველოდან უგზოუკვლოდ დაიკარგა მქსოველი მუშაქალი, რომელიც დაპატიმრების შემდეგ დაკითხული იქნა და რომლის მიმართ სასტიკი რეპრესიები გამოიჩინეს პოლიციის მოხელეებმა. ეს ქალია — ბუტორაც-პარავიჩი. ის მქსოველთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრია და მისი დაკარგვა დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს. ფიქრობენ ამას სერიოზული ამბები უნდა მოყვესო.

მექსიკა

ხულიო მელის მკვლელი განთავისუფლებულია

კუბის მთავრობის აგენტი ხულიო მელის მკვლელი — ხოზე მაგრინატი, რომელიც დაპატიმრებული იყო ამ ოთხი თვის წინად განთავისუფლებულია. მისი განთავისუფლების მიზეზად ასახელებენ საბრამდებლო საბუთების უქონლობას. საპატიმროდან განთავისუფლების შემდეგ მაგრინატი უგზო-უკვლოდ მიიმალა. ორიოდე დღის შემდეგ გამოიცა ხელ-ახალი ბრძანება მისი შეპყრობის შესახებ, რადგანაც პროკურატურამ უკვე დააგროვა მისი წინააღმდეგ აღძრული საჩივრის დასამტკიცებელი საბუთები.

რემედასი ინტერნაციონალიზმის იდეის გამტარებელია ახალგაზრდათა შორის.

ახალგაზრდებო, არ დაივიწყოთ ბურჟუაზიის მიერ განაწამები ახალგაზრდა რევოლიუციონერები.

ასეთი დანაკლისის შემდეგ კიდევ უფრო შეეამჭიდროებთ ჩვენს რიგებს, კიდევ უფრო მაღლა ავსწევთ ჩვენს რევოლიუციონურ დროშებს, კიდევ უფრო მაგრად ჩავსჭიდებთ ხელს ჩვენს იარაღს.

ამხ. ფაბრიციუსის დაკარგვას კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მებრძოლნი ისე, როგორც მთელი წითელი არმია, უპასუხებენ თავისი რიგების შემჭიდროებით ლენინური პარტიის ირგვლივ, თავისი მებრძოლი ძალების განმტკიცებით. წითელი არმია მტკიცეთ და მედგრათ განაგრძობს ბოლომდი ბრძოლას სოციალიზმისათვის. ე. ი. იმ საქმისათვის, რომელსაც იან ფრიცის-ძემ შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე. დეე, სცოცხლობდეს მედგარი მებრძოლის იან ფრიცის-ძე ფაბრიციუსის ხსოვნა პროლეტარულ რიგებში. დეე, სცოცხლობდეს და განმტკიცდეს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობა და მისი შეიარაღებული ძალა — მუშურ-გლეხური წითელი არმია.

ბ. იპო.

პოლონეთის მუშათა და გლეხთა დელეგაცია საქართველოში

აგვისტოს 21, საქართველოს სამხედრო გზით ტფილისში ჩამოვიდა პოლონეთის მუშათა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. მ ა ც. ს ტ. ლ ა ნ ც უ ც კ ი, ბ ო რ ო ვ ი ა კ, ზ ე მ ბ ა, გ უ ნ კ ე რ, ბ ე მ და სხვ.

დელეგაციის შესახვედრად ტფილისიდან ფასანაურამდე გაემგზავრენ: საქ. ცაკის მდივანი ამხ. ს. თ ო დ რ ი ა, პროფკავშირების თავმჯ. ამხ. ბ ა გ რ ა ტ მ ა ჩ ა ი ძ ე და რემედასის საქ. ცეკას მდივანი ამხ. მ. ც ქ ვ ი ტ ი ნ ი ძ ე.

21 აგვისტოს საღამოს სრულ 6 საათზე დელეგაცია ეწვია ტიფილისს. დელეგაციის შესახვედრად რემედასლების მიერ სასტუმრო „ორიანტი"-ს წინ მოეწყო გრანდიოზული მიტინგი, სადაც სიტყვებით გამოვიდენ როგორც ადგილობრივი ხელმძღვანელი ამხ. ისე დელეგაციის წევრები.

მიტინგზე ვრცელი სიტყვები წარმოსთქვა დელეგაციის მდივანმა — ამხ. ს ტ. ლ ა ნ ც უ ც კ ი მ, რომელსაც მხურვალე ოვაციები გაუმართა დამსწრე მუშა-მოსამსახურეებმა.

დელაგაცია საქართველოში დარჩა ხუთი დღე. ამ ხნის განმავლობაში მათ დაათვალიერეს ტფილისსა და მის ახლო-მახლო მდებარე უბნებში არსებული წარმოება-დაწესებულებები, კოლმეურნეობანი, აღმშენებლობანი, ბავშთა სახლები, გამსახლები და სხვ.

ს ტ ა ნ ი ს ლ ა ვ ლ ა ნ ც უ ც კ ი

(მოკლე, ბიოგრაფიული ცნობები)

ამხ. სტ. ლანცუცკი დაიბადა 1882 წ. ბავშობიდან ის მუშაობდა ქვის მთლელად, ამის შემდეგ ზეინკალის მოვალეობას ასრულებდა რკინის გზის სახელოსნოებში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობაში პოლონეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის* რიგებში. ომის წლებში ის შევიდა პეპესოველების სამხედრო ორგანზაციაში, რომელიც პილსუდსკის ხელმძღვანელობით ავსტრიის ჯარების რიგებში იბრძოდა პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის.

მებრძოლ ადამიანში თავი იჩინა რევოლიუციონურმა აღტკინებამ და პროლეტარულმა თვითშეგნებამ, რომელმაც ამხ. ლანცუცკი ჩამოაშორა „სამშობლოსათვის თავდადებულთა" ხროვას და ის დაუბრუნა პოლონეთის მუშათა კლასის გამანთავისუფლებელ მოძრაობას. ავსტრიის ხელისუფლებისათვის ცხადია მიუღებელი იყო ასეთი, კლასობრივად შეგნებული ამხანაგები, მათი ერთი იდეისათვის ბრძოლა შეუძლებელი იყო. ამ ნიადაგზე ამხ. ლანცუცკი იძულებული გახდა თავი გაერიდებია პოლიციის შურისძიებისათვის.

1919 წ. დამოუკდებელი პოლონეთის აღმოცენების შემდეგ ის აირჩიეს მუშებმა თავიანთი დეპუტატად სეიმში. ის აქ გავიდა როგორც პეპესოველთა (პოლონეთის სოციალისტური პარტია) პარტიის წევრი, მაგრამ არჩევის შემდეგ ის დიდხანს არ დარჩენილა ამ ნაციონალურ პარტიის რიგებში.

1921 წ. ამხ. ლანცუცკი საბოლოოთ ჩამოშორდა პეპესოველთა პარტიას და ის სათავეში მოექცა პოლონეთის

ამხ. ლანცუცკი.

მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობას. იმავე წელს ჩატარებულ არჩევნებში პოლონეთის მუშათა კლა-

სმა ის ხელმეორედ აირჩია თავის დეპუტატად, მაგრამ ამ შემთხვევაში ის უკვე კომუნისტური პარტიის დეპუტატად გავიდა სეიმში.

1924 წ. სეიმმა მას წაართვა დეპუტატის ხელშეუხლებლობის უფლებები, გადასცა სასამართლოს, რომელმაც მიუსაჯა 6 წ. პატიმრობა. მთელს პოლონეთში ჩატარდა მუშათა უდიდესი საპროტესტო კამპანიები ამხ. ლანცუცკის, ამ თავგანწირული მებრძოლის დასახსნელად. ბურჟუაზიას არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ამ პროტესტებისათვის, ის იძულებული შეიქნა ვადამდე გაენთავისუფლებია საპატიმროდან თავისი დაუძინებელი მტერი.

ამჟამად დასავლეთ უკრაინის მუშებმა ამხ. ლანცუცკი აირჩიეს თავის დელეგატად და გამოაგზავნეს საბჭოთა კავშირში. ამხ. ლანცუცკიმ პოლონეთის მუშათა კლასის სხვა დელეგატებთან ერთად ჩამოიარა საბჭოთა კავშირის ყველა მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრები, მუშათა რაიონები, ფაბრიკა-ქარხნები, საკუთარი თვალით ნახა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გიგანტიური აღმშენებლობა და აღფრთოვანებული გაემგზავრა ისევ უკან — ფაშიტურ პოლონეთში, რათა გადასცეს იქაურ მუშებს ის უდიდესი შთაბეჭდილებები რომელიც მან მიიღო ჩვენში.

სისხლიანი თარეში რუმინეთში

რუმინეთში ახლო წარსულში მომხდარი ამბები თავისი საშინელებით აჭარბებს ყველა იმ კონტრევოლიუციონურ გამოსვლებს, რომელსაც იქ ადგილი ჰქონდა ბურჟუაზიული ნაძირალების მხრივ.

ბრანდენბურგის მუშებმა მოაწყვეს უდიდესი დემონსტრაცია, ისინი ქუჩებში გამოვიდენ წითელფრონტელების აკრძალული ტანისამოსით. პოლიციელებმა ალყა შემოარტყეს დემონსტრანტებს და მოითხოვდენ ტანისამოსის გახდას. სურათზე ტანისამოსგახდილი დემონსტრანტები.

მდინარე ჟილავას დაბლობებში, სახელდობრ, სემიგრადში, სადაც ერთი წლის წინათ რეფორმისტულ პროფკავშირებს ჰქონდათ თავიანთი ძლიერი პუნქტი, ნაციონალურ-გლეხურ პარტიის ხელისუფლების ბრძანების თანახმად, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის უშუალო დახმარებით სათავეში მოექცა მმართვა-გამგეობას, მოკლულ იქნა ოცდა თორმეტი მუშა, ხოლო დაპატიმრებულთა და დაჭრილთა რაოდენობა მრავალ ასეულს აღემატება. ეჭვს გარეშეა ეს ცნობა, რომელიც გატარებულია ბურჟუაზიული ცენზორის მუხრუჭებში სრულ სისწორეს ვერ გადმოგვცემს.

ჩვენ კარგათ ვიცით ის გარემოება, რომ რუმინეთში არ ენანებათ ვაზნები, როცა საქმე ეხება მუშათა კლასის დარბევას, ჩვენ ისიც კარგათ ვიცით, რომ რუმინელი ჟანდარმები და ხულიგნური ჯარისკაცები ძალიან დახელოვნებულნი არიან მუშათა რევოლიუციონურ მასების დარბევა-აწიოკებაში.

დაახლოვებით ერთი წლის წინათ იგივე მუშათა კლასი, ნაციონალ-ცარანისტების (გლეხთა ნაციონალური პარტია) და რეფორმისტულ პროფ-ბიუროკრატიის ხელმძღვანელობით დემონსტრაციას ახდენდა ალბა-იულიში. მათ გრანდიოზული დემონსტრაცია მოაწყვეს ლიბერალური პარტიის მთავრობის წინააღმდეგ. ისინი ათასობით მწყობრათ დარაზმულნი მოდიოდენ ალბა-ილიში პეტროშანის, ვულკანის, ლიუპენის და სხვა რაიონებიდან, რათა თავიანთი ზიზღი გამოეცხადებიათ თეთრი ტერორის რეპრესიებისა და საშინელი რეჟიმისათვის.

რუმინელ სამთო-მადნო მუშების მღელვარებანი სოციალდემოკრატების დახმარებით ნაციონალ-ცარინისტებმა გამოიყენეს რუმინეთის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის, მაგრამ, მუშები უფრო შორს წავიდენ ვინემ ეს სურდათ მათ ხელმძღვანელებს. ალბა-იულიში ჩატარებულ დემონსტრაციის შემდეგ მუშებმა ხელში ჩაიგდეს ერთი ორთქლმავალი რამდენიმე რონოდით, რათა უკან ისევ ფეხით არ დაბრუნებულიყვნენ.

მანიუს ხელისუფლების სათავეში მოქცევამ უეცრად ვერ გამოაფხიზლა სამთო-მადნო მუშები. სოციალ-დემოკრატებმა, რომლებმაც ნაციონალურ გლეხურ პარტიის დახმარებით გაიძვერულად ხელთ იგდეს ცხრა მანდატი დეპუტატთა პალატაში, შეეცადენ ჟილავის სამთო-მადნო მუშათა მასაში შეექმნათ ილიუზია შესახებ იმისა, რომ რუმინეთში გლეხთა პარტია მოაწყობდა დემოკრატიულ გადატრიალებას. მიუხედავათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ შექმნილი ყალბი ილიუზიებისა კომუნისტურ პარტიამ და რევოლიუციონურმა პროფსაბჭოებმა მოახერხეს ჟილავის სამთო-მადნო მუშათა მასის თავის მხარეზე გადაბირება. მუშებმა ზურგი შეაქციეს სოციალ-დემოკრატიულ და ნაციონალურ-ცარანისტების პარტიებს და მათ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს სამთო-მრეწველობის ხელმძღვანელებს.

ძნელი წარმოსადგენია მთელი ის სიღარიბე-სიღატაკე, რომელიც მძვინვარებდა და სულს უხუთავდა ჟილა-

ვის რაიონის მუშებს. ამ უკანასკნელთ ტანზე ემოსათ მხოლოდ ძველმანები. ისინი ხელფასს ღებულობდნენ მეტად მცირედი რაოდენობით, ისიც „ნატურით". ხელფასის აღების ასეთი ფორმა სამთო-მადნო მუშას ხდის ნამდვილ მონად, ის მთელი თვეობით ვერ ხედავს გროშსაც კი დახარჯული შრომის ასანაზღაურებლად.

ჟილავის დაბლობებში მომუშავე მუშები წარმოადგენენ დუნაისა და ბალკანეთის ყველა მხარეებიდან ჩამოსულ მუშების ნაკრებს. ჯერ კიდევ უნგრელების დროს ხელისუფლება და მრეწველნი ერთი მეორის წინაღმდეგ ამხედრებდენ სხვა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენელ მუშებს. რათა არ მიეცათ მათთვის მჭიდროთ შეკავშირების საშუალება და ჩაექროთ მოსალოდნელი, ორგანიზაციულათ მტკიცეთ ჩამოყალიბებული პროლეტარიატის ერთსულოვანი გალაშქრება მჩაგვრელების წინააღმდეგ.

მდგომარეობის სრულ ბატონ-პატრონათ აქ გვევლინებოდა ჟანდარმთა ხელისუფლება და ჟანდარმერიის მიერ დაკანონებული რეჟიმი „ნორმალურად" ითვლებოდა მთელს ჟილავის დაბლობებში. 1918—19 წ. წ. მუშათა ერთი ნაწილი კომუნისტების ხელმძღვანელობით აწყობდნენ პარტიზანულ თავდასხმებს ჟანდარმთა რეჟიმის დასამხობად. რომელიც გაცილებით უარესი და უფრო მოუთმენელი იყო ვინემ უნგრეთის მთავრობის მიერ დამკვიდრებული რეაქციონური რეჟიმისაგან გამომდინარე შეღეგები.

აჯანყების ლიკვიდაციისა და საბოლოოდ განადგურების შემდეგ სოციალ-დემოკრატია შეეცადა რუმინელ ბოარებისა და ბანკის მნათობების კარნახით გადაებირებია ისინი და წარემართა მათი მოძრაობა სამთო-მრეწველობის კაპიტალის სასარგებლოდ. ამ ნაძირალებმა მართლაც რამდენიმე ხნით მოახერხეს მეტად სერიოზული კლასობრივი შეტაკებათა შენელება და მისი განვითარებისათვის ხელის შელშა, მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

რამდენიმე თვის წინათ მიუხედავათ სოციალ-დემოკრატიულ დეპუტატებისა და ნაციონალ ცარანისტების პარტიის მიერ აკრძალვისა ამ ოლქში განსაკუთრებული მდგომარეობა არ შენელებულა. ჟილავის დაბლობებში გაიგზავნა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ჟანდარმერია. სოციალ-დემოკრატები და ამსტერდამის პროფკავშირები მთელი თავიანთი ძალღონეს ახმარდენ იმას რათა არ მიეცათ მუშებისათვის სამუშაო ხელფასის მომატებისათვის ბრძოლის წარმოების საშუალება. ისინი არწმუნებდენ მუშებს რომ ვალიუტის სტაბილიზაციის შემდეგ მანიუს ხელისუფლება მიიღებდა ყოველგვარ ღონისძიებას სიძვრის აღმოსაფხვრელად და ამით ის შესძლებდა გაფიცვების გამომწვევი მიზეზების მოსპობას, რაც თავდები იქნებოდა სამუშაო ხელფასის ერთი-ორად გადიდებისა.

სოციალ-დემოკრატიამ და ამსტერდამის პროფ-კავშირებმა მთელი თავიანთი ძალღონე მოახმარეს იმას, რათა მშვიდობიანის გზით ხელი შეეშალათ ხელფასის მომატებისათვის, რომელიც მიზნათ ისახავდა მუშათა კლასის მდგომარეობის გამოსწორებას. ამავე დროს ნაციონალ-ცარანისტების ხელისუფლება ჟილავის დაბლობებს ავსებდა კარგათ შეიარაღებულ ჯარიკაცებით, რათა საჭიროების დროს ძალით ჩაექროთ ყოველგვარი მუშათა რევოლიუციონურ გამანთავისუფლებელი მოძრაობანი.



პეპესოველების (პოლონეთის სოციალისტური პარტიის) ნებაყოფლობითი დრუჟინის წევრები.

სასაცილო და ყოვლად უბადრუკი კოლექტიური ხელშეკრულების ვადის დასრულების შემდეგ მუშებმა ათი საათის მაგივრად მოითხოვეს რვა საათის სამუშაო დღის დაწესება. კაპიტალისტებმა არავითარი მოლაპარაკების წარმოება არ მოისურვეს მუშებთან, რასაც შედეგათ მოჰყვა ის სისხლიანი თარეში, რომელიც გვაუწყა ჩვენ რუმინეთის ცენზურამ.

ეს სისხლიანი ამბები ერთის მხრივ მოწმობს რუმინეთის გაფაშისტებას „რუმინეთის დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით". ამასვე მხარს უჭერს ნაციონალურ გლეხური პარტია. მათ მხარეზეა არა მარტო რუმინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია არამედ მთელი მეორე ინტერნაციონალი, მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების ყველა ბეჭდვითი ორგანოებში რუმინეთის სოციალ-დემოკრატები ხოტბას ასხამენ მანიუს ხელისუფლებას. იმათ აუწყეს მთელს ქვეყნიერებას, რომ ეს მთავრობა თავის მოღვაწეობაში იტევს არა მარტო დემოკრატიულ ერას, არამედ ის ამავე დროს არის ფართე სოციალისტური კანონმდებლობის დამმკვიდრებელი, სადაც არავითარ ტეროორისტულ აქტებს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ადგილი არა აქვს.

არცერთი კომკავშირელი არ უნდა იყოს რემედასის რიგების გარეშე.

ავსტრიელმა მარქსისტებმა საშინელი კამპანია აწარმოეს კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებსაც ბრალს სდებდნენ იმაში, რომ თითქოს ეს უკანასკნელები ხელს უშლიან მანიუს მთავრობის უდიდესს აღორძინებითი მოღვაწეობის ნორმალურად მიმდინარეობას. ისინი ცილს



ქ. მექსიკოს სტუდენტთა უდიდესი დემონსტრაცია, რომელიც მოეწყო ახლო წარსულში უნივერსიტეტის რეაქციონური წესდების საპროტესტოდ. სურათზე — სტუდენტებს მიაქვთ ერთ-ერთი რეაქციონერი-პროფესორის კარიკატურა.

სწამებდნენ კომუნისტებს და ამტკიცებდენ თითქოს რუმინელი კომუნისტები უშუალოდ თანამშრომლობენ ბრატიანუს ლიბერალურ პარტიის პრესაში მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი შეუშალონ მანიუს მთავრობას და სოციალ-დემოკრატიას რუმინეთის გადემოკრატებაში. მეორე ინტერნაციონალი მთლიანად წარმოადგენს მანიუს მთავრობის საყვირს. არავისში ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ჟილავის მიდამოებში მომხდარ სისხლიან ჟლეტის შემდეგ, რომელმაც მოგვცა ნამდვილი სახე 1912 წ. რუსეთის ჟანდარმერიის მიერ ლენის რაიონში ჩადენილი ამბებისა, მეორე ინტერნაციონალი მხარს დაუჭერს მას და გვერდში ამოუდგება ცარანისტებისა და რუმინეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სულის ჩამდგმელებს.

ჟილავის დაბლობებში მომხდარი ამბები ნათლად გვეუბნება, რომ მუშათა კლასისა და ულარიბესი გლეხკაცობის სტიქიური მღელვარებანი უდიდეს მოთხოვნილებას უყენებს რუმინეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ავანგარდს — რ უ მ ი ნ ე თ ი ს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ პ ა რ ტ ი ა ს, რომელიც დღეს-დღეობით ღრმა ჭერ ქვეშ არის მოქტეული. რუმინეთის კომუნისტური პარტია მთელ თავის ძალღონეს მოახმარს ამ ამოცანების სისრულეში მოყვანას.

რუმინეთის მუშებისა და გლეხების მეთაურობით, რომელიც იმყოფება რუმინეთის ბურჟუაზიის (ბესარებია, ბუკოვინა, დობრუჯა და სხვ.) ოკუპაციის ქვეშ, საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებით გააცხოველებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მანიუს სისხლიანი მთავრობის და მისი დამქაშების, სოიცალ-დემოკრატების წინაღმდეგ, რათა ეს ვიგინდარა ნაძირალები აღგავონ მიწის პირიდან და ერთხელ დაწყებული განმანთავისუფლებელი მოძრაობა მიიყვანონ ბრწყინვალე გამარჯვებამდე.

გ. დ — ლი.

განვაგრძოთ ბრძოლა რათაც უნდა დაგვიჯდეს

მხოლოდ ახლა იშლება ნამდვილი სურათი იმისა, რაც მოხდა სინამდვილეში პირველ აგვისტოს კაპიტალისტურ ქვეყნებში. იმისათვის, რომ უმნიშვნელო სახით წარმოედგინა მუშათა კლასის გამოსვლები. პირველ აგვისტოს ომის წინაღმდეგ, საერთაშორისო პოლიციამ ნიშანი მისცა საერთაშორისო ბურჟუაზიულ პრესას სწერონ კომინტერნის მიერ პირველ აგვისტოსათვის დანიშნულ „ერთადერთ მსოფლიო რევოლიუციის“ დამარცხების შესახებ.

ჩვენ არ გვიყვარს ჩვენი ძალების გადაჭარბებულათ შეფასება, ისე, როგორც ბურჟუაზიის პოლიტიკოსები ქებადიდებას ასხამენ კაპიტალიზმის სტაბილზაციას.

კომინტერნის აღმასკომის მე-10 პლენუმზე ჩვენ წამოვაყენეთ ამოცანა ხელმძღვანელი როლის დაპყრობის შესახებ მსოფლიო მუშათა მოძრაობაში. მომაკვდავი კლასის შიში პროლეტარული ძალების წინაშე შემთხვევითი არ არის; მისი ფესვები ჩამარხულია კაპიტალისტური წესწყობილების დაღუპვის ისტორიულ აუცლებლობაში.

ბურჟუაზიის ის ნერვიულობა, რომელიც მან გამოიჩინა პირველ აგვისტოს, **მაჩვენებელია, რომ** მას არ სწამს მმართველი კლასების ძლიერება.

კაპიტალისტურმა სამყარომ მობილიზაცია უყო კლასობრივი ჩაგვრის აპარატის ყოველგვარ საშუალებებს.

ჩვენ კომუნისტები ვერავითარ ნიჭიერათ დაწერილი წიგნებითა და წერილებით ვერ დავანახვებდით მშრომელ მასებს შინაურ და გარეშე ომის ყველა ხვეულებს როგორც ეს დაანახვა ბურჟუაზიის ძალმომრეობის მთელი აპარატის ამოძრავებამ ომის სასარგებლოდ. არავის არ შეეძლო ისე შეერყია მასების პაციფისტური ილიუზიები, როგორც ეს მოახდინა მხეცის გასისხლიანებულმა ხახამ.

ათეული მუშა რევოლიუციონერი აწამეს, ათასები დაასახიჩრეს, ათეული ათასი დაატუსაღეს და მხოლოდ იმისათვის, რომ მათ არ სურთ კვლავ ზარბაზნის კერძათ გახდომა საერთაშორისო ონავარების სასარგებლოთ. ყველა კომპარტიები კანონს გარეშე იქნა გამოცხადებული ამ დღეს, მთელი კომუნისტური პრესა მოსპეს და ამ დღეს მუშათა უბნები გადაქცეული იყო სამხედრო ბანაკებათ.

კლასობრივი აპარატის მობილიზაციასთან ერთად მან დარაზმა სოც-ფაშიზმი: სოც-დემოკრატია კლასობრივი ბრძოლის პარტია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, პარტია, რომელიც აშკარათ უჭერს მხარს ნანკინის ჯალა-

თებს პროლეტარიატის ბრძოლას ომის წინააღმდეგ — აი ის გაკვეთილები, რომლებიც მიიღო მუშათა კლასმა პირველ აგვისტოს გამოსვლების დროს.

უცხოეთიდან მიღებული ყველა ცნობები პირველ აგვისტოს აქტიური გამოსვლების შესახებ, ლაპარაკობს იმას, რომ ეხლა ბრძოლამ ომის წინააღმდეგ ფართოდ მოიცვა მუშათა მასები. მან გამოაფხიზლა მასები არა მარტო საფრანგეთში, გერმანიაში და პოლონეთში, ისეთ ქვეყნებშიაც კი, სადაც კომპარტიის გავლენა მასებზე ჯერ კიდევ სუსტია. კომინტერნის მოწოდებას ომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გამოეხმაურენ ჩინეთის, იტალიის, რუმინეთის და სამხერთ სლავიის მუშათა მასები.

რა ხდებოდა ინდოეთში, სამხრეთ-ამერიკაში, მექსიკაში და სხვა ქვეყნებში, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით; მაგრამ რა ვიცით ეს იმის სასარგებლოთ ლაპარაკობს, რომ მთელი ქვეყნის მუშათა კლასი გამოეხმაურა კომინტერნს.

პირველ აგვისტოს გამოსვლები ეპიზოდათ არ უნდა დარჩეს: ყველა ქვეყნის კომპარტიების წინაშე სდგას ბრძოლის გაგრძელების ამოცანა, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს.

პირველი აგვისტო იყო წმინდა პოლიტიკური გამოსვლა. ასეთ გამოსვლებში ფართოთ უნდა ჩაებას პროლეტარული ძალები. ბევრმა კომპარტიამ გაუშვა მხედველობიდან პრაქტიკულად დაესვა საკითხი ფართო მასების წინაშე მასიური პოლიტიკური გაფიცვისათვის. ეს ნაკლი შემდეგში უნდა გამოსწორდეს.

პირველ აგვისტოს წარმატება უდაოა. ჩვენმა კომუნისტურმა პრესამ სისტემატიურათ უნდა გააშუქოს მუშათა მასების წინაშე პირველი აგვისტოს წარმატებები. თუ შევადერებთ ცნობებს პირველ აგვისტოს დემონსტრაციებში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ, დავინახავთ, რომ კომპარტიების მოწოდებას გაჰყვა ათჯერ მეტი იმაზე, რაც კომპარტიებში ითვლება. ისე რომ ერთმა პარტიულმა გამოიყვანა ქუჩაზე 10 უპარტიო.

ჩვენ გამოსვლებს არ ჩაუთრევია მოძრაობაში ჯარისკაცთა ფართო მასები. დაძმობილების შემთხვევებს არ ჰქონია მასიური ხასიათი. სხვათა შორის ამაში იყო აგვისტოს გამოსვლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი.

ეხლა კომპარტიების ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს მუშაობა იმპერიალისტურ არმიებში. ეს მოითხოვს დიდ მსხვერპლს, რადგან ბურჟუაზია თავის ჯარს უცქერის, როგორც „წმინდათა წმინდას". ის ყოველგვარათ იცავს მას კომუნისტური გავლენისაგან. კომპარტიამ აქაც მედგრად უნდა დასძლიოს დაბრკოლებანი და შეასრულოს დასახული ამოცანა. ასეთი პირობებში პირველი აგვისტო ყოველმხრივათ ითამაშებს თავის უდიდეს ისტორიულ როლს.

წ ი თ ე ლ ფ რ ო ნ ტ ე ლ თ ა კ ა ვ შ ი რ ი

წითელფრონტელთა კავშირის არსებობას სულ ხუთი წლის ისტორია აქვს. ის დაარსდა და ჩამოყალიბდა 1923 წელს. ეს მოხდა საქსონიისა და ტიურინგიის რევოლიუციონური მოძრაობათა ჩაქრობის, ჰამბურგის აჯანყებისა და პროლეტარული „ასეულების" აკრძალვის შემდეგ.

წითელფრონტელთა პირველი ჯგუფები ჩამოყალიბდენ იმ ხანებში, როცა პროლეტარიატის რევოლიუციონური მასები მოქცეულნი იყვენ ჭერქვეშ. გადაიტანა რა პირვანდელი საორგანიზაციო პერიოდის დროს მიღებული დაბრკოლებანი, ის შეუდგა მშრომელთა ფართე მასებში შეიჭრას. მკვედრი ნიადაგის განსამტკიცებლად და ამრიგად 1928 წ. მისი წევრთა რაოდენობა 2.000 აღემატებოდა. დღეს წითელფრონტელთა, მისი მოკავშირე „იუნგ-ფრონტელთა" (გაერთიანებული ახალგაზრდობა) და „წითელი დროშის" (მეზღვაურთა გაერთიანება) წევრები წარმოადგენენ უძლიერეს მასიურ ორგანიზაციას, რომლის წინააღმდეგ მიმართულია ბურჟუაზიული პარტიების ზიზღი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადების გულის წყრომა, ხოლო პროლეტარული მასები კი იმედებით და აღფრთოვანებით შესცქერიან მათ.

წითელფრონტელთა კავშირი არის უპარტიო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს პროლეტარულ თავდაცვითი ბრძოლის წარმოებას ყველა კონტრევოლუციონური ძალების წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციაში კომპარტიის წევრების გარდა შედის დიდი უმრავლესობა უპარტიო მუშებისა. წითელ-ფრონტელთა ორგანიზაცია კომპარტიის მიერ ცნობილია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მეომარი ძალა, რომელსაც შეუძლია სრული გამარჯვება მიანიჭოს პროლეტარიატს.

წითელფრონტელთა კავშირი არა სწევს პროფკავშირების მაგიერობას, პირიქით ის ცდილობს გააძლიეროს პროფკავშ. ორგანიზაციები მასშა ახალ რევოლუციო-



ახლო წარსულში ინგლისის მხედრობამ ლივერპულის მახლობლად ზღვაში ჩაუშვა უდიდესი წყალქვეშა ნავი.

ნურ ძალების ჩაბმით, რათა პროფკავშირის ყველა ორგანიზაციები გადააქციოს ნამდვილ რევოლიუციონურ ორგანიზაციებათ წარმოება-დაწესებულებებში ფაშისტების წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლების ჩასატარებლად. ამ მიზნით წითელფრონტელთა კავშირის წევრს ევალება აუცილებლად ამავე დროს აქტიური წევრი იყოს რომელიმე პროფკავშირისა და აქტიური მონაწილეობა მიიღოს პროფმოძრაობაში.



ახლო წარსულში ქ. ლვოვში დაარბიეს ებრაულ გაზეთ „ხვილია"-ს სტამბა.

წითელფრონტელთა კავშირის წევრთა ძირითადი ამოცანებია: ყველა რევოლიუციონერ მუშების, განსაკუთრებთ კი ყოფილ ჯარისკაცებს ერთიან, მტკიცე ფრონტში ჩაბმა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, მათი აღზრდა კლასობრივი თვალსაზრისით, მათი პოლიტიკური ცოდნის დონის აწევა; ამავე დროს კავშრი ბრძოლას აწარმოებს ახალი იმპერიალისტურ ომის სამზადისისა და კოლონიელი ერების ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადები არწმუნებენ მუშებს იმაში, თითქოს გერმანიას არ მოელოდეს ფაშისტურ საფრთხე, ამ ვაჟბატონებს მხედველობაში აქვთ კაპიტალისტური რესპუბლიკა. მაგრამ სიცოცხლისა და საარსებო ინტერესების წინააღმდეგ დღითი-დღე იზრდება ფაშისტური საშიშროება. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება ე. წ. „ფოლადის მუზარადს" (ფრონტელ ჯარისკაცთა კავშირს). ეს მონარქიზმის და მსხვილ მწარმოებელთა რეაქციონურ ორგანიზაცია „ღვთისა და ქრისტიანობის გულისათვის" დაუნდობლად ებრძვის „ბოლშევიზმს" და თავის სამოქმედოთ გამომუშავებული აქვს მეტად მკაცრი ანტიმუშური პროგრამა.

ფაშიზმა ღრმად გაიდგა ფესვები მსხვილ წარმოებებში, ეს იმიტომ, რომ აქ მუშების მიღება ხდება ნაციონალისტებისა და შოვინისტების ნება-სურვილების თანახმად. წარმომებებთან არსებული სასპორტო ორგანიზაციები, საფაბრიკო-საქარხნო პოლიცია,, ჯაშუშები და სხვა — აი ვინ ჰქმნის კაპიტალსა და მუშებს შორის ბრძოლის მწვავე პირობებს. დანარჩენ ფაშისტურ ორგანიზაციებიდან შეიძლება დავასახელოთ „ახალგაზრდა გერმანელთა ორდენი", რომელიც აშკარად, მოურიდებლად და უტიფრად მხარს უჭერს ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ ომს.

გარდა ამ ფაშისტური ორგანიზაციებისა, არსებობს კიდევ ანტიპროლეტარულ-დემოკრატიული ორგანიზაცია — ე. წ. „იმპერიის დროშა", რომლის წევრთა დიდი უმრავლესობა შესდგება მოტყუებული და თვალახვეულ მუშებისაგან. ეს ორგანიზაცია ჩამოყალიბებულია თითქოს იმ მიზნით, რათა მონარქისტებისაგან დაიცვან დემოკრატიული რესპუბლიკა, ფაქტიურად კი ის მოქმედობს „ფოლადის მუზარადთან" შეთანხმებით და მისი დამრტყმელ რაზმებთან შეთანხმებით, რომლებიც თავგანწირვით იბრძვიან რევოლიუცონურ მუშათა კლასის წინააღიდეგ. „იმპერიის დროშის" ბელადები ლამობენ „იმპერიის დროშა" გადააქციონ ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ ბრძოლის დროს გამოსაყენებელ არმიათ. გერმანიის ბურჟუაზიულ კავშირებში ყველაზე უძლიერესია „იმპერიის დროშა". მას ორმილიონზე მეტი წევრი ჰყავს თავის რიგებში.

ამათ ებრძვის წითელ ფრონტელთა კავშირი, რომელიც ყველა მემარცხენე ორგანიზაციებთან ერთსულოვან მეგობრულ კავშირში არის და რომლის თავგანწირული ბრძოლა მუშათა კლასის განსათავისუფლებლად ცნობილია მთელი ქვეყნიერებისათვის.

ეს ორგანიზაცია მჭიდროთ დაკავშირებულია რემედასთანაც. წითელფრონტელთა კავშირის ბევრი წევრი რემედასმა გადაარჩინა სიკვდლსა და განადგურებას.

სრული ხუთი წელი გავიდა გერმანიის წითელფრონტელთა კავშირის დაარსებიდან. ამ ხნის განმავლობაში ის დაუნდობლად და თავგანწირვით ებრძვის მტერს. ხშირად მისი წევრები საშინელ დევნას და რეპრესიებს განიცდიდენ. წ. ფრონტელთა ჟურნალ-გაზეთებს სდევნიდა პოლიცია; მაგრამ ორი გმირი ამხანაგის — ერნესტ ტელმანისა და ვილი ლეოვის ხელმძღვანელობით ორგანიზაცია ებრძოდა ყველას მუშათა კლასის კლასობრივი ბრძოლების გამოცდილებათა მიხედვით. ამრიგად ის იზრდება და მტკიცდება დღითი-დღე. წ.-ფრონტელთა კავშირი მოსვენებას არ აძლევს მისდამი მტრულად განწყობილ ორგანიზაციებს. მიუხედავად ამისა 1928 წ. მისი დაშლის ცდა სრულიად უნაყოფო აღმოჩნდა. დღეს სოციალ-ფაშისტ. ცერგიბელმა და მისმა დამქაშებმა განიზრახეს მისი საბოლოო ლიკვიდაცია, მაგრამ წ.-ფრონტელთა იდეა ღრმად შეიჭრა გერმანიის პროლეტარულ მასებში. მისი დაშლა და დათხოვნა შეუძლებელია ერთი კალმის მოსმით, ან სასამართლოს პროცესების საშუალებით.

ვილლი მილენც.

ა რ ჩ ე ვ ა ნ ი

(გაგრძელება *)

აღმოსავლეთის რკინის გზების, ბუდაპეშტის სადგურში ხალხი ბუზივით ირევოდა. ბაქანზე გრიალებდა სამხედრო მუსიკა. ირგვლივ იდგა ომის მძიმე ატმოსფერა.

ჩემი თოფის ლულაში ჩარჭობილი თაიგული სავსებით შეეფერებოდა შექმნილ მდგომარეობას. მიუხედავათ იმისა, რომ მე ძალიან ვუფრთხილდებოდი და მეშინოდა საკუთარი ტყავის. ვფრთხილობდი რაც შემეძლო.

მე დავესწარი პროფკავშირების კრებას. სადაც ამხანაგ მ ი ა კ ი ჩ მ ა საფუძვლიანი განმარტება მისცა კრებას, შესახებ იმისა, რომ ომი სავსებით მისაღებიაო; ის ამბობდა კლასობრივი თვალსაზრისით აუცილებლად საჭიროა რუსეთის მეფის წინააღმდეგ გალაშქრება, რათა განთავისუფლებული იქნეს დაბეჩავებული და დამონავებული პროლეტარიატი, რომ ამ გზით მიუახლოვდეთ სოციალიზმს. ორი წლის შემდეგ მე ფრონტზე შევხვდი რუს-სოციალისტ ჯარისკაცს, მისი გადმოცემით ისიც თავისი ამხანაგებით გადმოაგზავნეს „კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ბ რ ძ ო ლ ი ს ფ რ ო ნ ტ ზ ე"—ავსტრიის მილიტარიზმის წინააღმდეგ.

პროფკავშირში ჩვენ გვეუბნებოდენ, რომ აუცილებლად საჭიროა ფრონტზედაც გამოიჩინოთ თქვენი შეერთებული ძალაო. ერთი სიტყვით შესაძლო იყო შემენარჩუნებია ჩემი სულიერი წინასწარობა, რომ ეს ზღვა ხალხი „ვ ა შ ა ს" ძახილით არ შეგებებოდა ომს.

მე სადგურამდე არავინ არ გამომყოლია. მიუხედავათ ამისა ყველაფერი საკმაოდ მქონდა. სიგარები, პაპიროსები, შოკოლადი, „პეჩენიები" და ასე გაშინჯეთ ჩემს პურის ტომარაში ერთი ბოთლი კონიაკიც კი იდო.

როგორც ვსთქვით მე ყვავილები ჩარჭობილი მქონდა შაშხანის ლულასა და ქუდში — ერთი სიტყვით სხვა არაფერი უნდოდა სხეულს, რომ სული არ ამხედრებულიყო ამ უაზრო ოროომტრიალის წინააღმდეგ.

იშტვან ტარიან ამ დროს ზემდეგი იყო, მას ულვაშები შეელამაზებია, მაღლა აეწკვერტა, თავის რონოდის მახლობლად ვიღაც უცნობ ქალისათვის მკლავი ჩაევლო და ნელა დასეირნობდა ბაქანზე. მას ისეთი გამომეტყველობა მიეღო, იფიქრებდით, ეს-ეს არის სადღაც ქორწილში მიდისო. უეცრად, როცა გამგზავრების სანიშნო ზარი შემოკრეს, ფიშტომ ანაზდად, მაგრად ჩაპროშტა უცნობი ქალი. მატარებელი დაიძრა, მგზავრები ფანჯრებიდან გადმომდგარიყვენ, ბაქანზე მდგომი ხალხი კი ცხვირსახოცს უქნევდა მიმავალთ.

მატარებელი გაეშურა ბრძოლის ველისკენ.

კარპატის მთების გადაღმა ჩვენ ჩამოგვსხეს რონოდებიდან. გავეშურენით ფეხით და ორი კვირის შემდეგ მიუახლოვდით მტერს. განთიადისას, საათის ოთხზე, მე უეცრად დაბლობში გავჩნდი. სადაც რუსები და მადიარები ესროდნენ და ჟლეტდენ ერთმანეთს.

მდგომარეობა უეცრად შეიცვალა, ყველაფერი აირია და ანაზდად მე მოვხვდი ფიშტო ტარიანის გვერდით, ჩვენს შორის, საფარის გარეშე მიწაზე კიდევ ერთი კაცი იწვა. ჩვენ ყველანი ვეყარეთ „ვ ე ლ უ რ ი ა ფ თ ა რ ე ბ ი ს" — ყაზახების პირდაპირ, რომლებიც სეტყვასავით გვაყრიდენ ტყვიას. ფიშტო დამშვიდებით იწვა მიწაზე და არავისთვის თოფი არ უსვრია. ის შიშისაგან მიწაში ჩაძვრებოდა, რომ ეს მოსახერხებელი ყოფილყო. ასე გავიდა რამდენიმე წუთი. უეცრად ფიშტომ ასტეხა საშინელი ღრიალი.

— შეხედეთ ძმებო, ეს პირუტყვები, როგორ დაუზოგავად გვესვრიან, შეხედეთ რუსები პირდაპირ გვესვრიან ტყვიას.

მართლაც უცნობი მეომარი, დაახლოვებით ოცდა ათი წლის კაცი თავქვე დაემხო მომაღლო მიწაზე, მან ისე მძლავრად დაჰკრა ცხვირი, რომ სისხლი ღვარად გადმოედინა. ის მომაკვდავივით ხროტინებდა და რამდენიმე წუთის შემდეგ პირიდანაც წასქდა დაკვეთილი სისხლი. როცა ის ავიყვანეთ მე და ფიშტომ, ხროტინი შესწყვიტა... ის უკვე მკვდარი იყო.

საღამოთი როცა ჩვენ მწკრივზე ვიდექით, ბრძანების წაკითხვის დროს მე ისევ შევხვდი ფიშტოს. პოლკის მორიგე ოფიცერი, მწყობრის მეთაურმა შ ა ხ ტ ა მ წაიკითხა ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენი იყო დაჭრილ-დასახიჩრებული უნტერ-ოფიცრებისა და მეომართაგან... თუ რამდენი დაიღუპა გმირულ ბრძოლაში... მან სთქვა აგრეთვე იმის შესახებაც, რომ ჩვენი ნაწილი წინ მიიწევდა და აღწევდა ახალ-ახალ გამარჯვებას...

ბრძანების მოსმენის შემდეგ ფიშტომ გამიხმო მე განზე და გაიძვერულად წამჩურჩულა:



ამას წინად რემედასის საქ. ცეკას ეწვია კომინტერნისა და რემედასის აღმასკომის წევრი ზანგი (ჩრდილოეთ ამერ. შეერთ. შტატ.) ამხ. **ლუის კარკლტონი.**

სურათზე — 1. ამხ. **კარკლტონი.** საზეიმო შეხვედრა, მოწყობილი სახმედვაჭრობის მუშა-მოსამსახურე რემედასელების მიერ.

*) იხ. ჟურნალ **რემედასის № 7.**

— ძმობილო, ეს ჩვენი პოლკი არ არის. მოდი, წავიდეთ აქედან და გავყვეთ შორეულ გზას. ჩვენ აქ რაღაც კარგი არ მოგველის. თუ ეს ასე არ იქნება თვალში ჩამაფურთხე.

ფიშტო მართლაც წავიდა. დიდი ხნის განმავლობაში არავინ იცოდა თუ საით გადაიკარგა ის.

საფრანგეთის ჯარების ოკუპაციის დღეები ქ. ოდესაში. ჯარისკაცები ქუჩებში.

მე დამჭრეს სექტემბრის ცხრას და მხოლოდ ნოემბრის დამლევს ისევ კარპატებში მოვხვდი; სადღაც, გომონის მახლობლად სწარმოებდა საშინელი ომი. პოლკის შტაბის შემადგენლობა იგივე იყო, რაც წინად დავტოვე, სამაგიეროდ დახოცილ და უგზო-უკვლოდ გადაკარგულ ჯარის კაცების ნაცვლად იმდენი ჯარის კაცები მოეყვანათ, რომ პოლკი სრულიად გადაეხალისებინათ. მთელს როტაში არ აღმოჩნდა არც ერთი ჩემი ნაცნობი, ყველანი ახლად მოსულები იყვნენ. როტას მეთაურობდა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, ლეიტენანტი ჩ ე ნ ი. ლაპარაკის დროს ის განუწყვეტლივ დორბლებს ყრიდა და როცა ჯარისკაცისაგან ღებულობდა პატაკს მთელ სახეს ფურთხით უვსებდა. მაშინდელ დროში ასეთი როტის უფროსი განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობდა. ლეიტენანტ ჩ ე ნ ი ს განკარგულებაში იყო ვიღაც ერთი საშინელი კაცი, გვარად ბ ო დ ი, რომელიც ჯალათის როლს ასრულებდა.

დაბრუნების მესამე დღეს მე ვიყავი მორიგე უნტერი, ბათალიონის მასშტაბით. ჩემდა საუბედუროთ ამ დროს ბათალიონის მორიგეობა შეხვდა ლეიტენანტ ჩენს. ღამემ მშვიდათ გაიარა. არაფერი საიმისო არ მომხდარა, მაგრამ განთიადისას ლეიტენანტი მოვიდა პოზიციაზე და მძინარეს მოუსწრო ფეხოსან ჯარის კაცს, ქარხნის ყოფილ მჭედელს — განცს.

— ბათალიონის მორიგე, აქეთ! — დაიღრიალა ოფიცერმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა. — ამ ეშმაკის კერძს ეხლავე დაარტყით 25 როზგი.

ვერ მოვასწარი სიტყვის შებრუნება ისე სწრაფათ ხელში მომცა ერთი მოხრდილი ჯოხი.

მრავალი წლის წინათ, როცა მე ვამთავრებდი სასწავლებელს ჩემმა მოხელემ დამავალა აქესრულებიაა შტრეიბეჰერის მოვალეობა. ასე მახსოვს მეც სწორეთ იმ დროს ასეთივე განცდებმა შემიპყრეს, ეტყობოდა ლეიტენანტმა ადვილად გაიგო ჩემი გულის ნადები ვინაიდან ის პირისპირ შემომცქეროდა მე და მქირდავი თვალებით თითქოს სუყველაფერი ადვილად დაინახა.

— გუნდის უფროსო, დააყარე თოცხდა ხუთი როზგი ამ ეშმაკის კერძს.....

ეხლავე.... მე გიბრძანებთ.... ამ წუთშივე...

რა უნდა მექნა, ავიღე ოფიცრის მიერ გადმოცემული უზარმაზარი კომბალი და თვალცრემლიანმა მიუახლოვდი მოხუც მეომარს...

— დაწექით ძიავ, — ვეუბნები მე.... გაწექით მიწაზე საყვარელო ძიავ.

ანაზდად მაღლა ავმართე კომბალი. მაგრამ ისე მძიმეთ მომეჩვენა ის თითქოს ასი ფუთიანი სიმძიმე ჰქონოდეს წვერზე დაკიდებული, თან ცრემლი მომადგა თვალზე და ბოლმისაგან გული ყელზე მომებჯინა.

შეშინებული ლეკვივით ვძიგძიგებდი ამხედრებული ლეიტენანტის წინაშე. ლეიტენანტს ამართული ჰქონდა ჯოხი და დამარტყამდა კიდეც, რომ უეცრად მას არ წამოწეოდა ერთ-ერთი მისი თანამოსამსახურე, რომელთანაც ჩვენ კარგ განწყობილებაში ვიყავით. ამ უკანასკნელმა ლეიტენანტს წაავლო ხელი და ამართული ჯოხი ჰაერზე შერჩა.

ამ დღის შემდეგ როტაში ჩემი ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად გადაიქცა. ბავშური ჭირვეულობით, ფეხის ყოველ გადადგმაზე შარს მსდებდა ლეიტენანტი ვიდრე აწერილი ამბავის ორი კვირის შემდეგ მეც არ გადამიწყვიტეს ოცდახუთი როზგი, რომელიც თანახმად ლეიტენანტის ბრძანებისა არ დამარტყა მე ჯალათ ბ ო დ ი მ. მე ეხლა არ შემიძლია გადმოვცე, თუ რომელმა უფრო მეტი ტკივილი გამოიწვია ჩემში — ოცდახუთი როზგის დარტყმამ, თუ ლეტენანტისა და ჯალათის სახის გამომეტყველებამ, რომლებიც მომჩერებოდენ მე. ეს იყო ამხედრებული ზიზღის, მძულვარების, სირცხვილის და საშინელი ტკივილის შეგრძნობა. ის ვისაც არ განუცდია ოცდახუთი როზგისაგან მიყენებული ტკივილების გადატანა, ვერ გამიგებს მე. ყოველ დარტყმის დროს ჩემი სხეული საცოდავათ ძიგძიგებდა, იკრუნჩხებოდა და ცრემლი ღვარად ჩამომდიოდა თვალებიდან. მიუხედავათ გამთოშავი ყინვისა, ოფლი წურ-წურით ჩამომდიოდა მთელი სხეულიდან.

— კმარა ომი, — გავიფიქრე მე და იმ საღამოსვე გავიქეცი როტიდან.

ფ. კარიკაში.

(გაგრძელება იქნება)

პიონერო, ჰკითხე შენს მშობლებს, რას აკეთებენ ისინი რევოლიუციისათვის მებრძოლთა დასახმარებლად.

ჰანრი დიუმულენი განთავისუფლებულია

განთიადისას, როცა მზის მცხოველმყოფელმა შუქმა ოდნავ გაანათა ბინდით დაბურული ველები და მდინარის ხეობები, ჩვენ ავტოთი მივქროდით დიდ შარა-გზაზე ფონტევროლისაკენ.

დღეს ანთავისუფლებენ მას.

წინა-დღით, საღამო ჟამს, ვიდრე არ დავრწმუნდით იმაში, რომ მას მართლა ანთავისუფლებენ დღეს 16 ივნისს — ჩვენ მოუსვენრად ვიყავით. ჩვენ არც ეხლა ვართ მაინცდა-მაინც დამშვიდებულნი. ავტომობილი მიჰქრის თხელი ნისლით გადაფენილ ველზე, რომელიც გარინდებულა განთიადის ბინდის წიაღში... ანაზდად დაბლობში, ჩვენს წინ აემართა ცენტრალური საკატორღო საპყრობილე — ფონტევროლი.

ჩვენ ვჩერდებით უზარმაზარ, ალაყაფის კარებთან და ვიცდით. დილის ხუთი საათია. ალბათ დიდხანს არ მოგვიწევს ლოდინი. ახლოვდება ვიღაცის ფეხის ხმა, ვიღაც მოეშურება კარებისაკენ, ის თითქოს მორბის, მას თან მოსდევს რამდენიმე კაცის ფეხის ხმა და ნელი ხმით საუბრობენ კარებისაკენ მომავალნი. ანაზდათ კარები გაიღო და სიღრმეში გამოჩნდენ ლურჯ ხალათებიანი მცველები.

— დიუმულენ!!! — შევსძახეთ ჩვენ ერთხმათ.

— მე ვარ... აქა ვარ მეგობრებო!

მან წინასწარ, არ იცოდა, თუ ვინ უცდიდა კარებთან მის გამოსვლას, მაგრამ, როცა ფეხი გადმოდგა საპყრობილის კარი-ბჭეების ზღურბლიდან, სათითაოთ ხელი ჩამოგვართვა ყველას, ირგვლივ სუყველაფერი მიათვალიერა და აღტაცებით შესძახა:

— ძლივს!..

ჩვენ არ გვინდოდა იქვე გამოგვეკითხა მისთვის საპყრობილეში ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილებები, მაგრამ მან არ დააყოვნა და იმავე წუთს წამოიწყო:

— იცით მეგობრებო, მიუხედავათ იმისა, რომ მე ოთხკედელთა შორის ვიყავი გამოკეტილი მაინც ვიცი: თუ რა ხდება გარეთ... ვიცი ბევრი ამბები მარტის, პირველი მაისისა და ს. ს. რ. კავშირის შესახებ... მარანი იყო საპყრობილეში ჩემს სანახავად.

მან თავის ძველ ფარაჯის ჯიბიდან ამოიღო კარგად შეხვეული ქ. ივრის მუნიციპალიტეტის მრჩეველს ნიშანი.

— მადლობა ივრელ მუშებს.*) იმათ ბევრი რამ გაიკეთეს, რათა გავენთავისუფლებინეთ მე საპყრობილის საშინელ პირობებისაგან.

როცა ჩვენ მოუსხედით მაგიდას, სასადილოში, მან მთელი გროვა ოფიციალური ქაღალდებისა დაყარა ზედ, რომელიც მისთვის გადმოეგზავნა სხვადასხვა დაწესებულებებს შემდეგი მისამართით: „მუსიო დიუმულენს, საცხოვრებელი ადგილი საკატორღო საპყრობილე — ფონტევროლი“.

ჩვენ თვალებში შევსცქეროდით ამ 26 წ. ახალგაზრდა კაცს, რომელიც მეტად გამხდარა და რომლისთვის თავისი მძიმე დაღი დაესვა საპყრობილეში ყოფნას.

— როგორც ხედავთ, — განაგრძობს ის, — იმათ ველარ შესძლეს ჩემი წელში გაწყვეტა. ველარ მოუხერხდათ.

ის ხშირად იმეორებს სიტყვას „იმათ“. მის საუბარში რეკავს აგრეთვე სიტყვა „მტრები“. ისენი არიან ოფიცრები, სასამართლოს მოხელეები და ყველა ჯურის შავრაზმელი ვიგინდარები, რომლებმაც ის 4 წლის ვადით, გაისტუმრეს საკატორღო საპყრობილის ბნელ კედლებისაკენ.

გამოვდივართ სასადილოდან. მივეშურებით, ავდივართ მაღალ ადგილებისაკენ... ჩვენს წინ მთელი თავისი სიდიდით და მრისხანებით აიმართა საპყრობილის რუხი კედლები.

— ხომ ხედავთ... აი, იქ ვმუშაობდით ჩვენ... აი, შეხედეთ ეზო, ცოტა იქით სახელოსნოებია და დისციპლინარული სასჯელის მოსახდელი განყოფილება.

უეცრად მოისმა მონასტრის ზარების გულისდამოლონებელი რეკვა. მოსჩანს მთელი რიგი პატიმრებისა, რომლებიც ისევ შედიან რომელიღაც კარებში და იმალებიან. უკანასკნელმა, ყველაზე უკან მიმავალმა პატიმარმა იცნო ამხ. დიუმულენი... უქნევს მას ხელს... დიუმულენი აღტაცებულია, სიხარულისაგან არ იცის რა ჰქნას, ესეც უქნევს ცხვირსახოცს და ცოტა ხნის შემდეგ ვშორდებით იმ ადგილს.

პირველ ჯგუფში, რომელიც შეეგება დიუმულენს იყო საფრანგეთის რემედასის ცეკას მდივანი ამხ. კორდიე, მისი სომიურელი, პირადი ამხანაგები — ქალაქ ივრის მუ-

ამხ. კებეს.

*) ქ. ივრში, ხმოსნების არჩევის დროს გავიდენ კომუნისტები, მათ შორის ამხ. დიუმულენიც.

ნიციპალიტეტის მრჩეველები, ადგლობრივი რემედასის კომიტეტის შემადგენლობა და მუშები თავიანთი ცოლ-შვილით, რომლებიც დილით ადრე ამდგარიყვენ განთავისუფლებული რევოლიუციერის შესახვედრათ.

— პატარა მანიფესტაციაა, არა? — ღიმილით ამბობს ამხ. დიუმულენი.

ჩვენ ვსთხოვთ მას გადმოგვცეს მისი დაპატიმრებისა და გასამართლების ამბები.

— თქვენ არ იცით ეს ისტორია? — იმათ შური იძიეს ჩვენზე იმისათვის, რომ ჩვენ მოვითხოვოთ არსებული ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

1925 მაისს, მემარცხენე ბლოკის მთავრობამ ბირჟის ინტერესების დასაცავად გაგზავნა ფრანგი ჯარისკაცები რიფების წინააღმდეგ. მაროკოსაკენ გასამგზავრებელ სამხედრო გემებზე თავი იჩინა მღელვარებამ. მე იმ დროს მექანიკოსად ვიყავი გემ „კურბე"-ზე.

ჩვენ მოქანცულნი ვიყავით, არ გვქონდა სათანადო სურსათ-სანოვაგე. ცუდათ ვიკვებებოდით. მეზღვაურებს, მემანქანეებს და საერთოდ ყველა თანამშრომლებს შეუსვენებლივ და დაუზოგველად გვამუშავებდენ. ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ ტულონიდან გამგზავრებისას, მაგრამ სანამ ნეაპოლამდე მივიდოდით ისევ მოუთმენელი გახდა გემზე ყოფნა და მოვალეობის ასრულება. ჩვენ ამის შესახებ ხელმეორედ განვაცხადეთ სასტიკი პროტესტი.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ჩვენ უკვე გაშლილ ზღვაზე მივსცურავდით, მთელ რიგ მეზღვაურებს, სათითაოდ გვამუშავებდენ ოფიცრების „კაიუტ-კამპანიაში", აქედან ჩვენ გვაგზავნიდენ „ტრიუმში". მეორე დღეს ჩვენ გამოვდიოდით იქიდან საშინლად მოღლილი-მოქანცულნი, თვალებ-ჩაშვებულნი და გალურჯებულნი. სულ დაპატიმრებული იყო 14 მეზღვაური, მათგან 10 გაანთავისუფლეს, დავრჩი — მე, კილლერი, შავო და ბიგორნი.

აგვისტოს 24 ჩვენ დავრჩით საზღვაო საპყრობილეში ქ. ტულონში, ამის შემდეგ სამხედრო სასამართლომ მე მომისაჯა ოთხი, ხოლო დანარჩენებს კი 3-3 წელი კატორღა.

ფეხებზე ბორკილებით მე გადამაგზავნეს მათთან. როცა მე იქ მიმიყვანეს საპყრობილის ალაყაფის კარებთან მღეროდენ „ინტერნაციონალს", ირგვლივ თავს იყრიდენ მუშები, რომლებიც სასტიკ პროტესტს აცხადებდენ გამოტანილი განაჩენის წინააღმდეგ. ამის შემდეგ მე გადამიყვანეს ფონტერვოლში.

— ყველაფერი ეს კეთდებოდა საფრანგეთის ხალხის სახელით — ასე ამბობდენ ჩემი გასამართლების დროს.

ის იგონებს იმ სურათს, როცა მას თავზე ედგა ხმალ-ამოწვდილი ოფიცერი. „კურბე"-სა და სხვ. გემებზე ათასზე მეტი მეზღვაურები უსიტყვოდ იდგენ და ზიზღით ავსილნი შესცქეროდენ უფროსებს. უეცრად მოისმა შემაძრუწუნებელი სიგნალი. იქვე, მახლობლად იდგა მეზღვაური მექანიკოსი, დიუმულენი, მას თავი მაღლა ეჭირა, ტუჩებს იკვნეტდა სიბრაზისაგან, ველარ მოითმინა და პირდაპირ მიახალა ოფიცერს: — თქვენ მე კი არა თქვენს თავს შეურაცყოფთ!...

„ამის შემდეგ 47 თვე კატორღა. 47 და არა 48, ეს იმიტომ, რომ იმათმა მე მაპატიეს ერთი თვე. ამით თითქოს გამაბედნიერეს. რა გულკეთილობაა! არსებული ხელისუფლების მთელი პირფერული უბადრუკობა გამომჟღავნდა ამ „წყალობაში".

რა დააშავა ამ მუშამ, პატიოსანი მუშის შვილმა, კეთილმა და ყველა ამხანაგებისათვის საყვარელმა ადმიანმა?

— „მე ვიბრძოდი ჩემი თანამოსამსახურეთა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. მათთან ერთად აქტიურად ვიბრძოდი უკეთესი მერმისისათვის. მე არ მინდოდა ომი. მესმოდა ექიმის სიტყვები, რომელსაც ის ამბობდა ჯარისკაცების გასინჯვის დროს! — დასუსტებულია... დაავადებულია... მართლაც და ჩვენ ვიხოცებოდით სიმშილით, წყურვილით"..

მას შემდეგ, რაც უკმაყოფილებათა წამომწყები ოთხი მეზღვაური გადაგზავნეს კატორღაში დანარჩენებს გაუუმჯობესეს საჭმელ-სასმელი და საერთოდ ცხოვრების პირობები. დიუმულენისა და მისი ამხანაგების შეუპოვარმა ბრძოლამ ერთგვარი ნაყოფი გამოიღო.

კატორღაში ცხოვრების პირობების შესახებ ამხ. დიუმულენი ძალიან ცოტას ამბობს; ის გამუდმებით მუშაობდა, მას სასტიკ ექსპლოატაციას უწევდენ, ასეთივე მდგომარეობაში იყვენ სხვა დანარჩენი ამხანაგებიც, ხელფას კი ღებულობდენ ძლიერ უმნიშვნელოს.

— ეხლა კი საჭიროა გავემართოთ ივრისაკენ და მადლობა ვუთხრათ მუშებს. არა? — იკითხა მან.

იქიდან ჩამოსული ამხანაგი ამბობს, რომ შეკრებილი მუშები მოუთმენლად მოელიან მას. ვიდრე იქ ჩავიდოდა ის რამდენიმე ხნით ჩერდება სომიურეში.

მზე მაღლა აიმართა. აი, ჩვენ უკვე სომიურში ვართ ერთ-ერთი ამხანაგის სახლში.

მისასლმებელი სიტყვით გამოდიან სხვადასხვა პარტიების, გაზეთ „ჰიუმანიტე"-ს და რემედასის წარმომადგენლები. უკანასკნელი ამხანაგის სიტყვის შემდეგ, რომელმაც წარმოსთქვა უჩვეულო, კარგი სიტყვა ჩვენ ყველანი ფეხზე ავდექით. ღია ფანჯრებიდან და კარებიდან გრიალით შემოდიოდა „ინტერნაციონალის" მძლავრი გუგუნი.

დიუმულენს აღელვება დაეტყო.

ამრიგად ყველანი აღტაცებით მიეგებენ ამხ. დიუმულენს ენერგიით და ჯანღონით სავსე ახალგაზრდა რევოლიუციონერს, რომელმაც ოთხი წლის განმავლობაში მტკიცედ შეინარჩუნა თავისი ჯანმრთელობა კატორღის მძიმე და აუტანელ პირობებში.

ჟ. ალტმან.

რემედასის საშუალებით განვამტკიცოთ საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის წითელი ზურგი.

რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა მ გ ა ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა

თხუთმეტი წელი! თხუთმეტი წელი საპატიმრო! საოცარი და განსაცვიფრებელია! საჭიროა უდიდესი ენერგიის გამოჩენა, რომ 22 წლის განმავლობაში შეიგრძნოთ ამ სიტყვის მნიშვნელობა. იცხოვრო მარტო ბნელ საკანში, რომელიც სივრცით არ აღემატება ექვსი და ოთხ ადლს. ასეთ პატარა მოცულობაში იარო შეუსვენებლივ წინ და უკან და მთელი თხუთმეტი წელი გაატარო ამ უსინათლო ბნელ სენაკში, სადაც წლიდან წლობამდე ვეღარა სწოდება მზის ცხოველი შუქი.

საპატიმროს ცხოვრება დღითი დღე აუტანელი ხდება. ის მცირეოდენი სანოვაგე, რომელსაც ჩვენ გემზე ყოფნის დროს ვღებულობდით, გვენატრებოდა აქ, ვინაიდან ისიც ვერ აღწევდა ჩვენამდე. ნახევარჯერ მშიერი ზედამხედველები (იმ ხანებში გერმანიაში სიმშილობა იყო) ძღებოდენ ჩვენი ულუფით. ექვსი თვის განმავლობაში მე დამაკლდა ექვსი კილოგრამი. დაპატიმრებიდან მეშვიდე თვეზე გარდაიცვალა ჩვენი ამხანაგი ფიშერი.

მისი ცხედარი საპატიმროს ეკლესიაში გადაასვენეს, მიუხედავათ იმისა, რომ ის არასოდეს მორწმუნე არ ყოფილა. ეს მოხდა ზამთრის ერთ-ერთ სუსხიან და ყინვით გათოშილ დილით. ჩვენც წაგვიყვანეს იქ ზედამხედველობის ხელმძღვანელობით. მოვიდა პასტორი, რომელმაც წირვა-ლოცვის ნაცვლად წარმოსთქვა უდიდესი პატრიოტული სიტყვა. ის ლაპარაკობდა ორი საათის განმავლობაში.

ჩვენ ვუსმენდით მას უსიტყვოდ, სანამ ღვთისა და მონარქიის მსახური არ გადავიდა კაიზერზე, სამშობლოს წინაშე მამულიშვილის მოვალეობაზე, უდიდეს მიზნებზე, რომლის განსახორციელებლადაც სწარმოებს ომი... ის შეჩერდა აგრეთვე დიდხან გერმანელთა ბრწყინვალე მომავლის დახასიათებაზე — რომელსაც გამარჯვება მოაქვს გერმამიისათვის. ამის შემდეგ პასტორმა იერიშები მოიტანა ჩვენზე, აღნიშნა ჩვენი „დანაშაული“ სახელმწიფოს წინააღმდეგ, ამავე დროს მან ილაპარაკა გარდაცვლილი ფიშერის შესახებ. მე შევყურებდი ხან ორატორის დაჭიმულ სახეს, ხან კიდევ გარდაცვლილ ამხანაგის საშინელად გამხდარ ცხედარს და მოთმინება დამეკარგა. უეცრად წამოვხტი ადგილიდან და ზედ მივვარდი პასტორს, რომელიც განაგრძობდა თავის სიტყვას.

მე ხელები წამავლეს ზედამხედველებმა და მომაშორეს მას. საყდრიდან დაბრუნებისას 18 დღე და ღამე საკანში მარტოდ ყოფნა მომისაჯეს. 18 დღე და ღამე ცივსა და ბნელ საკანში, ულუკმაპუროდ, უსინათლოდ ვიჯექი, მაძლევდენ ერთ ლიტრა წყალსა და ცოტაოდენ პურს.

ამის შემდეგ ყველა პატიმრები გადაგვიყვანეს რენდსბურგში და სათითაოდ მოგვათავსეს კარცერებში.

გავიდა ნახევარი წელი...

ჩემი საკნის ვიწრო სარკმლიდან შეიძლებოდა არხის და ხიდის თაღის დანახვა.

ერთხელ ავდრიან, ნოემბრის ცივი დილით მე ვიდექი სარკმელთან. კედლის მეორე მხარეზე დადიოდა ჩემი მეზობელი პატიმარი. ანაზდად მე შემომესმა საყვირის ხმა, რომელიც ზედიზედ განმეორდა რამდენიმეჯერ. მე ვიცნობდი ამ ხმას; მეგონა ის იყო გამაფრთხილებელი რამ ხმა.

— ხანძარია, თუ დაეცენ ვისმე? — გავიფიქრე მე.

უეცრად სიცივის ჟრუანტელმა დამირბინა ტანში, თავზე თმა ყალყზე დამიდგა... დავინახე — თაღს უახლოვდებოდა იალქანი, რომელზედაც ფრიალებდა წითელი დროშა.

მთელი დღის განმავლობაში მოუსვენრად ვიყავი. ყოველ წუთს მივდიოდი სარკმელთან, მაგრამ ვერა გავიგე რა. მე მინდოდა დავრწმუნებულიდავი. მაგრამ ამაოთ. ასე გაგრძელდა მთელი დღე და ღამის განმავლობაში.

თორმეტის ნახევარზე ისევ მოისმა საყვირის ძლიერი ხმა. მთელი უკანასკნელი დღეების განმავლობაში განცდილით მოღლილ-მოქანცული უძრავად ვეგდე ნარზე და არც კი გავტოკებულვარ. ანაზდად კარებისაკენ მიპყრობილ თვალებს შეეფეთა ორი, საკნისკენ მომავალი მეზღვაური.

ორი ცოცხალი მეზღვაური თანდათან მიახლოვდებოდენ მე.

— შენ თავისუფალი ხარ! — შემომძახეს მე. — გერმანიაში რევოლიუცია დაიწყო.

არ მახსოვს შემდეგ რა მოხდა. როცა გამოვეკვიე, მე უკვე საპატიმროს კანტორაში ვიჯექი, აქვე ისხდენ დანარჩენი ამხანაგები, რომლებიც უკვე მზად იყვენ წასასვლელად.

ამხ. რაიხპიჩ.

ალაყაფის კარებთან ჩვენ ხელი დაგვავლო ზღვა ხალხმა და წაგვიყვანეს „ინტერნაციონალი“-ს სიმღერით ქალაქისაკენ.

„ინტერნაციონალი“ ეს ის სიმღერაა, რომლითაც ჩვენ ამ თოთხმეტიოდე თვის წინად სახრჩობელასკენ გავაცილეთ. ამხ. რაიხსპიჩი და კებესუ, ეხლა კი ამავე სიმღერით შემოგვეგება ხალხი და დავიძარით ქალაქისაკენ.

რამდენიმე დღის შემდეგ დაეცა პირველი მსხვერპლი რევოლიუციის და ქალაქის ქუჩებიც მოირწყო პროლეტარიატის სისხლით.

ამის დანახვაზე ჩვენში იფეთქა საშინელმა შურისძიებამ და განუსაზღვრელმა ზიზღმა, რომელმაც ყველა ჩვენთაგანს მკაცრად შესძახა: — წინ ახალ ბრძოლისაკენ, ახალ ტანჯვებისაკენ, ახალ უბედურებისაკენ! წინ პროლეტარული რევოლიუციის საბოლოოდ გასამარჯვებლად.

წითელფრონტელი.

ზრდისა და განმტკიცების ნიშნის ქვეშ

განვლილი ხუთი წლის მუშაობა ჩვენს ორგანიზაციაში მიმდინარეობდა შეუჩერებელი ზრდისა და განვითარების ნიშნის ქვეშ. ტფილისის ყველა დაწესებულებებსა და ფაბრიკა-ქარხნებში გაფანტულნი არიან რემედასის წევრები, რომლებიც თავიანთ ყოველდღიური, სამსახურის

მაქს ჰელცი

ცნობილი გერმანელი რევოლიუციონერი. ჰელცი ამას წინად გაანთავისუფლეს საპყრობილედან. ის ამჟამად საბჭოთა კავშირშია.

მოვალეობის ასრულებასთან ერთად არ ივიწყებენ რევოლიუციისათვის მებრძოლთა საერთაშორისო ორგანიზაციას, ისინი ყოველმხრივად ხელს უწყობენ არა მარტო კაპიტალის პატიმართა დასახმარებლად რეალურ ფონდის შექმნას, არამედ ანვითარებენ საერთაშორისო მებრძოლ პროლეტარიატთან მჭიდრო ერთსულოვნების იდეას და დღითი-დღე სულ უფრო და უფრო აყალიბებენ ამ იდეის გარშემო აქტივთა კადრებს.

ახლო წარსულში ჩატარებულმა რემედასის ტფილისის მოთხე საარაონო კონფერენციამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ჩვენი ორგანიზაციის ზრდისა და განვითარების მოსაწესრიგებლად აღებული სწორი გეზი ერთხელაც არ გამრუდებულა და საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (1928 — 1929 წ.წ.) სწორად ტარდება.

ამ ზრდას ადასტურებს წევრთა შემადგენლობის საგრძნობლად გადიდება, ფინანსიურ ღონისძიებაათ გაუმჯობესება და აქტივის ზრდა — მისი მომწიფება და თავისი მოწოდების სიმაღლეზე დაყენებაა.

ორგანიზაციის წევრთა შემადგენლობის ძლიერებას ადასტურებს შემდეგი ციფრები — მაგ. 1928 წ. პირველ იანვრისათვის ტფილისის რაიონში იყო 69 უჯრედი — 5.598. ხოლო 1929 წ. პირველ მაისისათვის კი — 125 უჯრედი — 11.529 წ.; როგორც ვხედავთ ამ ხნის განმავლობაში უჯრედთა რაოდენობა გაზრდილა 56, რაც უდრის— 44,6%, ხოლო წევრთა რაოდენობა კი — 5931 წევრით, რაც უდრის 51,4%.

ეს ციფრები უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ ჩვენ მოვიგონებთ იმ გარემოებას, რომ 1927 წ. ორგანიზაციის ზრდა გამოიხატება 1926 წ. შედარებით უჯრედთა რაოდენობის 15% გაძლიერებით, ხოლო წევრთა 6% გადიდებით. ეს შედარება ნათლად ადასტურებს იმ გარემოებას, თუ რა დიდი მიღწევა გვაქვს ჩვენ ამ მხრივ უკანასკნელ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

ეხლა გადავხედოთ ფინანსიურ შემოსავალს, რაც წლების მიხედვით შემდეგნაირად იცვლება. რაიონის სალაროში სხვადასხვა შემოსავლის სახით შემოვდა 1925 წ. 4380 მან. 56 კ., 1926 წ. — 5071 მან. 03 კ., 1927 წ. — 6905 მან. 91 კ., 1928 წ. — 12918 მ. 02 კ.

როგორც ვხედავთ ფინანსიური შემოსავალი 1928 წ. 1927 წ. შედარებით 46% გაიზარდა, რაც აუცილებლად მაჩვენებელია ორგანიზაციის ფინანსიური მდგომარეობის სიჯანსაღისა. ამ შეფასებას ადასტურებს აგრეთვე ორივე (27 — 28 წ.წ.) თვეების საშუალო საშემოსავლო ციფრების შედარება და გათვალისწინებული ხარჯთ-აღ-

---

გლეხთა მასებში რემედასის იდეის გავრცელება ქალაქისა და სოფლის კავშირის მთავარი საწინდარია.

რიცხვის შესრულება. მაგალითად 1928 წ. — 129%. რაიონული კომიტეტის ხარჯები 15% არ აღემატება.

ახლა გადავხედოთ აქტივის საკითხს. ორგანიზაციის წევრთა რიცხობრივ ზრდას არ შეეძლო არ გამოეწვია რაიონის მასშტაბით აქტივთა კადრების შესამჩნევი ზრდა. მაგალითად 1927 წ. ბოლო რიცხვებში აქტივთა რაოდენობა განისაზღვრებოდა 28 კაცით, უკანასკნელ კონფერენციის დროს ეს რაოდენობა გაიზარდა 55 კაცამდე — ე. ი. გაიზარდა 49%-ით. ჩვენის აზრით ეს გარემოება აუცილებლად სანუგეშოა და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რემედასის ორგანიზაციას ქალაქის რაიკომის მასშტაბით არ ჰქონდეს თვალსაჩინო მიღწევები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

აქვე უნდა ავღნიშნოთ ორგანიზაციის რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ. ჩვენი ორგანიზაციის ითქმის 12000 წევრიდან. ქალები მხოლოდ 20%. რაც ყოვლად შეუძლებელია ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ უსაყვედუროთ რაიკომს რომელმაც. როგორც ეტყობა ვერ შესძლო მშრომელ ქალთა ფართე ფენებში მუშაობის გაღრმავება.

საფინანსო დარგში უნდა აღინიშნოს, რომ 1927 წ. საწევრო ანარიცხების დავალიანება უდრის 93%, ხოლო 1928 წ. 95%.

არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე მუშაობის სისუსტე რაიონის აქტივთან. მიმდინარე წლის განმავლობაში წევრთა რიცხვობრივად ზრდის მიუხედავად ეს მხარე ძლიერ მოიკოჭლებს. ეს მდგომარეობა კი უსათუოდ უნდა გამოსწორდეს. ხშირად აქტივისტს არ შეუძლია პასუხი გასცეს ყველა ძირითად საკითხებს ამა, თუ იმ უჯრედების მუშაობაში, ამრიგად ის იძულებული ხდება თავისი ყურადღება შეაჩეროს უფრო მეორე ხარისხოვან საკითხებზე — როგორიცაა მაგალითად საორგანიზაციო-ტეხნიკური საკითხები. რაიონის აქტივისტთა ასეთ ჩამოქვეითებას წევრთა მასის ყოველდღიურ მოთხოვნილებებიდან არ შეიძლებოდა თავისი უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა რაიონის სახელმძღვანელო მუშაობაზე; ამ გარემოებამ შესამჩნევად ჩამოაქვეითა რაიკომის მუშაობის ხარისხი. ეს მოხდა უმთავრესად იმიტომ, რომ მათ ალლო ვერ აუღეს მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს.

რაიონული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ცენტრალური ადგილი ეჭირა უჯრედს, ნასში მუშაობის წარმოების შესაძლებლობას, ძირითად ნაკლსა და მის აღმოფხვრას უჯრედის საქმიანობიდან.

აქ ჩვენ შევჩერდებით მარტო უჯრედის მუშაობის სუსტს მხარეებზე. ასეთ ნაკლს ჩვენი აზრით წარმოადგენს უჯრედის მუშაობის ვიწრო ფარგლებით შემოზღუდვა საერთოდ. აღმზრდელობითი მუშაობისადმი ყურადღების მიქცევის სისუსტე, აქტივთან მუშაობის გაძლიერების მოუწესრიგებლობა და სოციალისტურ შეჯიბრებაში სუსტად ჩაბმა. უნდა ითქვას, რომ ჩვენი რაიონის რემედასის მუშაობის უმთავრეს მომენტებს წარმოადგენდა წევრთა რაოდენობის გაძლიერება, მორიგ კამპანიების ჩატარება და მატერიალურ დახმარებათა შეგრრვება.

საკმარისია თუ არა ეს საკითხები?

რემედასის შორაპნის სამაზრო კონფერენცია.

უზრუნველჰყოფს თუ არა რემედსის წინაშე დღეს წამოჭრილ ამოცანების განხორციელაბას მხოლოდ ამ ამოცანების ჯეროვნად გადაჭრა?

ყველა ამ საკითხებზე კონფერენციამ უარყოფითი პასუხი გასცა და რაიოკომის ახალ შემადგენლობას მისცა დავალება იზრუნოს უჯრედზე, მის შინამუშაობის გაღრმავებაზე, და ყოველი უჯრედის წევრთა გააქტიურებაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას.

აღმზრდელობითი საკითხებში ყველაზე უფრო ყურადღების ღირსია რემედასის ლიტარეტურის გავრცელება და საერთოთ წევრთა მასაში ინდივიდუალური ხელისმოწერის ჩატარება. თუ შემოსავლის თვალსაზრისით გავსინკავთ ამ საკითხს ასეთ სურათს მივიღებთ: 1925 წ. ხელზე გაიყიდა ლიტერატურა 200 მ. 13 კაპ. ინდივიდუალური ხელის მოწერიდან შემოვიდა 13 მან. 50 კაპ. 1926 წ. გაიყიდა — 468 მან. 40 კაპ., ინდივიდუალური ხელის მოწერიდან შემოვიდა — 68 მან. 33 კაპ., 1927 წ. გაიყიდა— 100 მ., ინდ. ხელის მოწერიდან შემოვიდა — 392 მ. 3- კ., 1928 წ. გაიყიდა — 1.172 მან. 72 კაპ. ინდ. ხელისმოწ.— 481 მან 81 კაპ.

კონფერენციამ სერიოზული ყურადღება მიაქცია ყველა წამოჭრილ ამოცანებს და მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში გასატარებლად.

იმედია ჩვენი აქტივი გაანაღდებს მას.

ვ. ბელიაევი.

ჩ ვ ე ნ ი მ უ შ ა ო ბ ა

(აფხაზეთი)

მიმდინარე წლის აგვისტოს 10. დ. დანდრაში მოწვეულ იქნა რემედასის სარაიონო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომელსაც დაესწრო 11 სოფლის დელეგატები, რიცხვით 50 კაცამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ დანდრის რაიონში რემედასის მუშაობა სათანადო სიმაღლეზე იდგა ყოველთვის. მიუხედავად იმისა, რომ გლეხობაში საერთოდ მოიკოჭლებს რემედასის მუშაობა აღნიშნულ რაიონზე არ შეიძლება ეს ითქვას, რაც უნდა მიეწეროს ადგილობრივ გლეხობის აქტივობას და ხელმძღვანელ ამხანაგების ენერგიულ მუშაობას.

რაიკომის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა რემედასის სარაიონო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე — ჩერნიაკი, რომელმაც აღნიშნა დანდრის რაიონში რემედასის ორგანიზაციის, როგორც მიღწევები, ისე ნაკლი. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გლეხობა დიდის სიმპატიით ეპყრობა რემედასის ორგანიზაციას, მისი იდეები დღითი-დღე იჭრება მშრომელთა ფართე მასებში. მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე, რომ რემედასის მუშაობაში აქტიურად ჩაბმულნი არიან, როგორც კომკავშირლები, ისე მოჯამაგირე ახალგაზრდები.

როგორც ირკვევა რაიონში სათანადოთ ვერ ვრცელდება რემედასის პერიოდული და არაპერიოდული გამოცემები, როგორიცაა ჟურნალი „რემედას" და სხვ. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და მომავალში გამოსწორებული იქნეს ეს ნაკლი. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი გავავრცელოთ ჟურნალი და საერთოდ რემედასის ლიტერატურა.

აღნიშნულ პლენუმზე თანამდებობიდან განთავისუფლებული იქნა დანდრის რემეადსის სარაიონო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ჩერნიაკი და მის მაგივრად არჩეული იქნა რემედასის რაიკომის პრეზიდიუმის წევრი მუშა ამხ. **აქვსენტი პაპავა.**

ა. ბაძაღუა.

რემედასის დ. **დანდრის** (აფხაზეთი) **რაიკომის** აქტივის გაფართოებული პლენუმი — მოწვ. 1929 წ. აგვისტოს 10.

რემედასი აქტიურად ჩაება შეჯიბრებაში

(ტფილისი. ლენინის რაიკომი)

საბჭოთა კავშირის ფაბრიკა-ქარხნები უკვე ჩაებენ სოციალისტურ შეჯიბრის ფერხულში. ამ გაცხოველებულ მუშაობის პროცესში უდიდეს აქტივობას და შემოქმედებითი უნარიანობას იჩენს ჩვენ კავშირის მუშათა კლასი.

სოციალისტური შეჯიბრება გადაიქცა მასების უდიდეს მამოძრავებელ ძალათ, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარებასა და კულტურული დონის აწევას. მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა ჩაბმულია ამ შეჯიბრში და ისინი პრნათლად ასრულებენ ამა, თუ იმ ამოცანას ამ სფეროში. ამ შემთხვევაში რ ე მ ე დ ა ს მ ა, როგორც მშრომელ მასების ინტერნაციონალურად აღზრდის ერთ-ერთმა უდიდესმა ფაქტორმა ხელი უნდა შეუწყოს ამ შეჯიბრების ღირსეულად ჩატარებას და თავის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მუშაობის ბრწყინვალედ დაგვირგვინებას.

რ ე მ ე დ ა ს ი ს ლენინის რაიკომი უკვე შეუდგა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რემედასის ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ, რემედასის ტფილისის კომიტეტის მეორე პლენუმის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას. ეხლა კი, სიტყვა რემედასის ძირითად ორგანიზაციებს ეკუთვნის. შეჯიბრების ჩატარებას განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა მოეპყრას საყუდის კოლექტივთან არსებული რემედასის უჯრედი, რომელმაც თავის უახლოეს ამოცანებათ უნდა დაისახოს:

1) რემედასის რიგების ერთი-ორად გადიდება, 2) საწევრო ანარიცხების სრული 100% ლიკვიდაცია, ამავე დროს მან ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ძველი დავალიანების მთლიანად დაფარვას და მომავალში ორგანიზაციის მატერიალურ ღონისძიებათა სათანადო დონეზე დაყენებას საღამო-წარმოდგენების მოწყობით და სხვა. 3) უჯრედები უნდა შეეცადონ, რათა გლეხობის მეტი პროცენტი იქნეს ჩაბმული რემედასის მუშაობაში, სოფლისა და ქალაქის კავშირთან ერთად საშეფო სოფლებში გამგზავრებისა და მათთან მჭიდრო, ცოცხალი კავშირის დაჭერით, რემედასის სათანადო ლიტერატურის მიწოდებით და სხვა. 4) დამყარებული უნდა იქნეს წერილობითი კავშირი იტალიის საშეფო საპატიმრო „კ ო ს ე ლ ფ რ ა ნ კ ო ს თ ა ნ“. ამავე დროს შემოღებული უნდა იქნეს სისტემატიური მიწერ-მოწერის წარმოება ამ ქვეყნის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან. 5) რემედასის წევრთა ჩასაბმელად სოციალისტურ შეჯიბრებაში, წამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი ლოზუნგები: „ა რ ა რ ი ს ა რ ც ე რ თ ი უ ქ მ ა დ მ ო ხ ე ტ ი ა ლ ე რ ე მ ე დ ა ს ე ლ ი“. „ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ი ს ა მ ო ც ა ნ ე ბ ი ს გ ა ნ ს ა ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ლ ა დ პ ი რ ვ ე ლ რ ი გ ე ბ შ ი უ ნ დ ა დ ა ი რ ა ზ მ ო ნ რ ე მ ე დ ა ს ე ლ ე ბ ი“.

ტარას-შევჩენკოს რაიონის გლეხებმა პირველ მაისის დღესასწაულის დღეს კოლექტიურად დაამუშავეს და დათესეს 2½ ჰექტარი მიწა რემედასის სასარგებლოთ.

აი, ის მთავარი ამოცანები, რომლებსაც უნდა დაეყრდნონ რემედასის უჯრედები. ცხადია, მარტო წამოყენებული ამოცანებით განსაზღვრა შეუძლებელია. ეს ამოცანები გამოტანილი უნდა იქნეს მშრომელთა ფართე მასებში, რემედასის წევრთა გაფართოვებულ კრებებზე და მათ ირგვლივ უნდა გაიმართოს გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. რემედასის უჯრედთა ბიუროებმა ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოებრივი აზრის შექმნას. დე, თვით რემედასის მასამ გამოამჟღავნოს ჩვენი საზოგადოებრივობის ყოველდღიურ მუშაობაში არსებული ნაკლულოვანებანი.

უჯრედთა შორის შეჯიბრების შედეგის გამოკვლევაში ორგანიზაციის ყოველმა წევრმა უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა, ვინაიდან ამხანაგური, შეგნებული და შეკავშირებული მოქმედება არის ჩვენი ნაყოფიერი მომავლის უზრუნველყოფის მთავარი საწინდარი.

ამრიგად საყუდის კოლექტივის რემედასის უჯრედებმა ხელი უნდა შეუწყონ შეჯიბრების ჩატარების დროს მშრომელ მასების ინტერნაციონალურად აღზრდას, შრომის ნაყოფიერების აწევას, ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში სუსტი მხარეების გამომჟღავნებას, მის გამოჯანსაღებას და რაც მთავარია, საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლთა მატერიალურ დახმარების ერთიორად გაძლიერებას სოციალისტური რევოლიუციის ბრწყინვალედ დასაგვირგვინებლად მთელს მსოფლიოში.

ნ. ზლატნიცკი.

რემედასის ს. ც. კ. გამომცემლობა. პ/მგ. რედაქტორი: **შამშე ლეჟავა.**

ტფილისი, ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტ. პლ. პრ., № 91. მთავარლიტ № 1268. შეკვეთა № 1771. ტირაჟი 4000.

ფასი 20 კაპ.

რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტის გამომცემლობა

ტფილისი, კომინტერნის ქ. № 5. II-ე სართ. ელსმ. № 17—42

მიიღება ხელის მოწერა

ჟურნალ

რემედას-ზე

1929 წლის განმავლობაში

ჟურნალ

რემედას

გამოვა

12

ნომერი

ხელის მოწ. პირობები:

1 თვით	. . . .	20 კ.
3 თვით	. . . .	60 „
6 თვით	 1	მ. 15 „
9 თვით	 1	„ 70 „
1 წლით	 2	„ 20 „